



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/197

ქ. თბილისი

28 ნოემბერი 2023წ

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მიღების უზრუნველსაყოფად შესაბამისი გარანტიების შექმნის მიზნით, დამტკიცდეს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“ (დანართი).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ი. კუტუბიძე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის

მეთოდოლოგია

1. შესავალი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის (შემდგომში სსსმ სტუდენტი) სწავლის პროცესი მასზე მორგებულად იმართება.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის (შემდგომში პროგრამა/მოდული) ფარგლებში იმისთვის, რომ არგუმენტირებულად განისაზღვროს და დოკუმენტურად გაფორმდეს სტუდენტის მიერ, პედაგოგის მხარდაჭერით, მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესი. ასეთი არგუმენტირებული დოკუმენტი ლეგიტიმურს ხდის და ხსნის ინდივიდუალური სწავლა-სწავლების პროცესს, რომელიც კონკრეტული სტუდენტისთვის დადგინდება.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პროგრამის/მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის საფუძველი.

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის საჭიროება ჩნდება მაშინ, როდესაც მასწავლებელი (შემდგომში მასწავლებელი) შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ სტუდენტს მოდულის/მოდულების მოთხოვნების დასამლევად მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება.

2. როდესაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ მოდულში/მოდულებში სტუდენტისთვის ინდივიდუალურად მორგებული ცვლილებების შეტანა აუცილებელია, ის უფლებამოსილია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან/სპეციალისტებთან ან/და სასწავლო პროცესის ასისტენტთან/ასისტენტებთან ერთად, შეიმუშაოს და დოკუმენტურად გააფორმოს პროფესიული მოდულის/მოდულების სწავლის შედეგების შესაბამისად აგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების პროექტი, რომელიც დამოწმდება პროგრამის ხელმძღვანელის, დარგის სპეციალისტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და დამტკიცდება ფაკულტეტის დეკანის მიერ.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს, წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგებისთვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების

მიდგომებში იცვლება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე). შესაბამისად იგი დააზუსტებს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. საჭიროებისამებრ, შესაძლებელია, დამატებით განისაზღვროს ცალკეული ფუნქციური მიზნების განვითარების საჭიროება.

3. მასწავლებლის უფლებამოსილება.

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას მასწავლებელი გეგმავს სხვადასხვა ტიპის ადაპტაციებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გაზრდისთვის. ადაპტაციების შემთხვევაში იცვლება სტუდენტისთვის სტანდარტულად განსაზღვრული პროგრამა მთლიანად, ან მასში შემავალი მოდული / მოდულები.

2. სსსმ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას მასწავლებელი უნდა მსჯელობდეს შემდეგ საკითხებზე:

1. რა დამატებითი ცვლილებებია სტუდენტის სწავლის ხელშეწყობისთვის საჭირო?
2. რას გააუმჯობესებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?
3. რომელ სწავლის შედეგს მიაღწევს ან/და მიუახლოვდება სტუდენტი?
4. რა დროში მიიღწევა სწავლის შედეგები და პროგრესი?
5. რა რესურსების გამოძებნაა საჭირო?
6. რა დამხმარე საშუალებებითა და მომსახურებით იქნება ის უზრუნველყოფილი?
7. ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი?
8. ვისი დახმარება, რა განსხვავებული კომპეტენცია სჭირდება?
9. რამდენად ადეკვატური იქნება მიღწეული სასწავლო შედეგი და შეძენილი კომპეტენცია პროფესიის პრაქტიკული დაუფლებისა და დასაქმებისთვის?

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში:

1. მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტიანი სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები;
2. სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;
3. განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
4. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;
5. გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული;
6. შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა; მაგალითად, სტუდენტისთვის, დროში წინსწრებით, გამოიყენოს საწარმოო პრაქტიკა (უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით), რათა გაიზარდოს პრაქტიკასა და კეთებაზე დაფუძნებული, რეალურ გარემოში მიმდინარე, სასწავლო პროცესის ინტენსივობა;
7. სტუდენტის შესაძლებლობის შესაბამისად შეცვალოს შეფასების პროცედურები და ფორმები;

8. დააზუსტოს სტუდენტისთვის მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები;
 9. განსაზღვროს სტუდენტისთვის დამატებითი მომსახურების საჭიროება: მაგალითად, სტუდენტისთვის ინდივიდუალური, დამატებითი მუშაობის საჭიროება მასწავლებელთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ან/და სხვა სტუდენტთან ერთად.

4. ადაპტირებული, ანუ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით/მოდულით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლებისას მასწავლებელი ორიენტირებული უნდა იყოს მოდულის/პროგრამის ფარგლებში სტანდარტულად განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებზე. ის მიზნად უნდა ისახავდეს არა მხოლოდ სტუდენტის მაქსიმალურ მიახლოებას კომპეტენციისთვის დადგენილ ზღვართან, არამედ მის გადალახვას. მოდულით/პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის/შედეგების მისაღწევად მასწავლებელი უნდა განსაზღვრავდეს უახლოეს, დასაძლევად შესაძლებელ ნაბიჯებს (ქვემიზნებს ან მოკლევადიან ინდივიდუალურ მიზნებს), რომლებიც სწავლის შედეგის შემადგენელ ერთეულს წარმოადგენს და მას პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

4. აკომოდაცია

1. აკომოდაცია არის პროფესიული მოდულით/მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს და პირობების ცვლილება, სწავლის შედეგებში ცვლილების შეტანის გარეშე. ის იძლევა საშუალებას, სსსმ სტუდენტმა მიაღწიოს პროფესიული მოდულით განსაზღვრულ შედეგებს, მათი შინაარსისა და სირთულის დონის შეცვლის გარეშე.

2. აკომოდაციის შემთხვევაში შესაძლებელია შეიცვალოს:

- სახელოსნოების, აუდიტორიების ფიზიკური გარემო.
- საათების განაწილება და დღის გრაფიკი;
- აქტივობების შესასრულებლად განკუთვნილი დროის ხანგრძლივობა;
- სასწავლო მასალა;
- სწავლების სტრატეგიები და სწავლების მეთოდები;
- შეფასების პროცედურები და ინსტრუმენტები;

3. აკომოდაციის ამსახველი მაგალითები (არასრული) წარმოდგენილია ცხრილში 1.

აკომოდაციის მაგალითები

ცხრილი 1

გარემო პირობების აკომოდაცია	დროის გრაფიკის აკომოდაცია
<ul style="list-style-type: none"> - სასწავლო სივრცის, ოთახის მდებარეობის შერჩევა/შეცვლა; - ავეჯის განლაგების/სივრცის შეცვლა; - სტუდენტთა განთავსება/განაწილება; - განათების რეგულირება; - ადაპტირებული ავეჯის გამოყენება; - ინდივიდუალური მეცადინეობები; - მცირე ჯგუფში მეცადინეობები და ა. შ. 	<ul style="list-style-type: none"> - დროის გაზრდა ან პირიქით, ხანმოკლე ინტერვალებად დაყოფა; - შეფასების (ან გამოცდის) ეტაპობრივად ჩატარება; - დროის ინდივიდუალური დაგეგმვა; - დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი; - შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი და ა. შ.

ინსტრუქციის აკომოდაცია

- ექსტერი ენა;
- ბრაილის ანბანი;
- მოქმედებების თანმიმდევრობის მანიშნებელი გეგმა;
- კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (მაგალითად, ბარათებით კომუნიკაცია);
- ტექსტის ლექსიკის გამარტივება;
- ვიზუალური მინიშნება;
- ვიზუალური ცხრილი, სიმბოლოები, ნახაზები, სქემები.
- ტექსტის ფონტის გაზრდა;
- მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა;
- ინსტრუქციის პერიფრაზირება;
- ინფორმაციის გამეორება;
- აუდიომასალა და ა. შ.

შეფასების აკომოდაცია

- წერიტი გამოცდა ზეპირის ნაცვლადან პირიქით;
- ტესტირება წერიტი ან ზეპირი გამოცდის ნაცვლად;
- ბეჭდვა წერის ნაცვლად;
- ვერბალური პასუხის ჩანაწერის გაკეთება (შემდგომში დიკოდირება);
- ასისტენტის ჩართვა და დახმარება, რომელიც მონიშნავს პასუხებს ან შეასრულებს სტუდენტის მიერ ნაკარნახევ მოქმედებას;
- გამადიდებელი შუშა ან პროგრამა;
- ხმის გამამდიერებელი;
- კალკულატორი და ა. შ.

4. აკომოდაცია არ გულისხმობს მოდულის შინაარსის ცვლილებას, შესაბამისად, არ მოქმედებს შეფასებაზე, შესრულების კრიტერიუმებსა და კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონზე.

5. მოდიფიკაცია.

1. მოდიფიკაცია არის პროფესიული მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების რაოდენობრივი ან თვისებრივი ცვლილება. ადაპტაციის ეს ფორმა, შესაძლოა, გულისხმობდეს კონკრეტული სტუდენტისთვის მოდულის მოთხოვნების დაზუსტებას, რასაც შეიძლება სტუდენტის მხრიდან მოდულით/მოდულებით განსაზღვრული შედეგების არასრული მიღწევა მოჰყვეს.

2. პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციისას მნიშვნელოვანია სტუდენტის და/ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება, რომ ასეთ შემთხვევაში სტუდენტმა, შეიძლება პროფესიული კვალიფიკაცია ვერ მიიღოს.

3. ქვემოთ მოცემულია სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმების, კომპეტენციის პარამეტრებისა და მტკიცებულებების ინდივიდუალური ჩანაწერებისთვის შესაძლო დაზუსტებები:

3.1. სწავლის შედეგის დაზუსტება მის შემადგენელ ერთეულებად დაშლით ან/და შესრულების მითითებით

- სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს სტუდენტმა, რისი კეთება უნდა შეეძლოს მას და რა მიზნით მოდულის/პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგი იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგებში მოცემული აქტივობის ან ცოდნის გაზომვა და შეფასება. ის უნდა მოიცავდეს მოქმედების აღმნიშვნელ ზმნას, ობიექტს და საჭიროების შემთხვევაში – პირობას.

- ყოველი სწავლის შედეგი უნდა უკავშირდებოდეს სხვა სწავლის შედეგს, პროგრამის/მოდულის შესავალს, სახელწოდებას, შესრულების კრიტერიუმებს, კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონსა და მტკიცებულებების მოთხოვნებს.

3.2. შესრულების კრიტერიუმის/კრიტერიუმების დაზუსტება სპეციფიკურად განსაზღვრული სწავლის შედეგისთვის.

- შესრულების კრიტერიუმი მოიცავს ინფორმაციას იმ მინიმალური მოთხოვნების შესახებ, რომელთა დაკმაყოფილება სტუდენტს სასწავლო შედეგების მისაღწევად მოეთხოვება. შესრულების კრიტერიუმი უნდა შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს.
- შესრულების კრიტერიუმი გარკვევით უნდა მიუთითებდეს, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს სტუდენტმა. შესრულების კრიტერიუმი უნდა მოიცავდეს მოქმედების აღმნიშვნელ ზმნას. მაგალითად: განმარტავს, აღწერს, ჩამოთვლის, მიუთითებს. მისი ფორმულირებისას, შესაძლებელია გამოიყენებოდეს ზმნიზედები: ზუსტად, სწორად, გარკვევით, დახმარებით და ა.შ.

3.3. კომპეტენციის პარამეტრების დაზუსტება სპეციფიკურად განსაზღვრული სწავლის შედეგისა და შესრულების კრიტერიუმისთვის.

- კომპეტენციის პარამეტრები მოიცავს სტუდენტის მიერ განსახორციელებელ მოქმედებებს, გამოსავლენი ცოდნის, უნარ-ჩვევის მასშტაბსა და სიღრმეს.

3.4. შეფასების მიმართულებები

პროფესიული მასწავლებელი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ირჩევს შეფასების მიმართულებას. შეფასება შეიძლება იყოს წერითი ან/და ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, როლური თამაშებში მონაწილეობა, პროექტის შექმნა.

4. ცხრილში 2 თვალსაჩინოებისთვის მოცემულია სწავლის სტანდარტული და დაზუსტებული შედეგები, შესრულების კრიტერიუმები, კომპეტენციის პარამეტრები და შეფასების მიმართულება.

სტანდარტული და დაზუსტებული სწავლის შედეგები, შესრულების კრიტერიუმები, კომპეტენციის პარამეტრები და შესრულების მიმართულება.

ცხრილი 2

სწავლის შედეგი	ნატურიდან საგნების დახატვა	სწავლის დაზუსტებული შედეგი	ნიმუშიდან საგნების დახატვა
შესრულების კრიტერიუმი (ინდიკატორი)	<ul style="list-style-type: none"> შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით ირჩევს საჭირო მასალას; 	შესრულების დაზუსტებული კრიტერიუმი (ინდიკატორი)	<ul style="list-style-type: none"> შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით ირჩევს საჭირო მასალას;

	<ul style="list-style-type: none"> ფანქრის საშუალებით პროპორციის დაცვით ზომავს სივრცეში მოცემულ მოდელს; მიღებული ზომების გათვალისწინებით აგებს მოცემულ მოდელს; შუქ-ჩრდილების მეშვეობით გადმოსცემს მოცემული მოდელის მოცულობას. 		<ul style="list-style-type: none"> დავალების შესაბამისად იხატავს გეომეტრიულ ფიგურას. შუქ-ჩრდილების მეშვეობით გადმოსცემს მოცემული მოდელის მოცულობას.
კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონი	<p>შესასრულებელი სამუშაოს სახე: ფანქარში დახატული გეომეტრიული ფიგურები</p> <p>მოცემული მოდელი: თაბაშირის გეომეტრიული ფიგურა:</p> <ul style="list-style-type: none"> - სფერო - ცილინდრი - კონუსი - კუბი 	კომპეტენციის დაზუსტებული პარამეტრების დიაპაზონი	<p>შესასრულებელი სამუშაოს სახე: ფანქარში დახატული გეომეტრიული ფიგურები</p>
შეფასების მიმართულება	პრაქტიკული დავალება	შეფასების დაზუსტებული მიმართულება	პრაქტიკული დავალება

6. ფუნქციური მიზნები

1. გარდა პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანებისა, შესაძლოა, პროფესიული განათლების მიღების პროცესში სტუდენტისთვის შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც მკაფიოდ ჩამოყალიბდება ის წინაპროფესიული (ზოგადი, ყველა პროფესიისთვის საერთო) უნარ-ჩვევები, რომელთა გამომუშავებაც მნიშვნელოვანია დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ამ ტიპის უნარებს ფუნქციურ მიზნებსაც უწოდებენ. ფუნქციური მიზნების მაგალითები შეიძლება იყოს:

- დროის მართვა;
- სივრცის მართვა;
- ინსტრუქციების შესრულება/მიყოლა;
- პირად ჰიგიენასა და შესახედაობაზე (გარეგნობაზე/ჩაცმულობაზე) ზრუნვა;

- ეფექტური კომუნიკაცია;
- სოციალური უნარ-ჩვევები;
- კონსტრუქციული კრიტიკის მიღება და გამოყენება;
- ამოცანის დასრულებაზე ორიენტაცია;
- საქმის კეთებისას მოტივაციის შენარჩუნება;
- თავდაჯერებულობა;
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა;
- სხვებთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევა;
- სხვადასხვა სიტუაციაში გაჩენილი პრობლემების მოგვარების უნარი;
- სიმარჯვე (ნატიფი მოძრაობები);
- ტრანსპორტით სარგებლობა;
- სამუშაოს ხარისხის მნიშვნელობის წვდომა;
- ზედამხედველის, უფროსის მნიშვნელობის წვდომა;
- შესასრულებელ საქმეზე პასუხისმგებლობა.

2.წინაპროფესიული უნარების გამომუშავებაში აქტიური როლი ინკლუზიური განათლების სპეციალისტს/სპეციალისტებსა და სასწავლო პროცესის ასისტენტს/ასისტენტებსაც აკისრიათ.

7.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმოების შიდა რეგულაცია

1.სასწავლო მოდულის დაწყებამდე, მოდულის მასწავლებელი იღებს ამომწურავ ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტზე. ამისათვის ის ხვდება:

1.1.ინკლუზიური განათლების სპეციალისტს/სპეციალისტებსა და სასწავლო პროცესის ასისტენტს/ასისტენტებს;

1.2.პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომლებსაც უკვე აქვთ აღნიშნული სტუდენტის სწავლების გამოცდილება;

1.3.საჭიროების შემთხვევაში, განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს.

2.აღნიშნული შეხვედრების საფუძველზე მასწავლებელი ეცნობა სტუდენტის შესახებ არსებულ დოკუმენტაციას:

2.1.მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნას - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აღწერილობას და რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით;

2.2.სტუდენტის მიღწევებს და შედეგებს სხვა მოდულების ფარგლებში (იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტს უკვე გავლილი აქვს სხვა მოდულები);

2.3.სტუდენტის პორტფოლიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მის მიერ შექმნილ პროდუქტს.

3.ამავე შეხვედრების საფუძველზე მასწავლებელი იზიარებს გამოცდილებას სწავლების იმ სტრატეგიების შესახებ, რომლებიც ეფექტიანად ან პირიქით, ნაკლებ ეფექტიანად

მუშაობს აღნიშნულ სტუდენტთან მიმართებით; ეცნობა რეკომენდებულ აკომოდაციებს

და მათი გამოყენების გზებს.